

2023

შპს „იბეროილი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
1. ძირითადი საკმევანობა	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
5. ძირითადი საშუალებები	21
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	22
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
10. ფინანსური ვალდებულებები	23
11. შემოსავლები	24
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	24
13. საოპერაციო შემოსავლები	24
14. მიწოდების ხარჯები	25
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
16. ფინანსური ხარჯები	26
17. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა	26
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
19. პირობითი ვალდებულებები	29
20 . საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „იბეროილი“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ დავგიქირავეს შპს „იბეროილი“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ შპს „იბეროილი“-ს აუდიტორებად 2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავეკვირვოდით წლის ბოლოს და წლის დასაწყისში ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 3,675,272 (2022 წელი-2,543,474 ათასი ლარი). ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2023 წლის ბოლოს და 2023 წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე 2023 წლის 31 დეკემბრის არსებულ ნაშთებზე და 2023 წლის საწყის შესაბამის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ასევე არ ჩავვიტარებია სალაროს ინვენტარიზაცია და შესაბამისად ჩვენი მოსაზრება სალაროს ნაშთან დაკავშირებით მოდიფიცირებულია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის

პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს იბეროილის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს იბეროილი მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოსაგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს იბეროილი კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა, სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშს. ჩვენი დასკვნა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ცალკეულ ანგარიშს. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ აღწერილ სხვა ინფორმაციის გაცნობას მისი ხელმისაწვდომობასთანავე და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა, სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ. აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე, მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მიუვითითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და

სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობითი ანგარიშგების გაცნობის და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ჩვენ გამოვთქვავთ აზრს იმასთან დაკავშირებით რომ, მმართველობითი ანგარიში არის შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს. მოიცავს ინფორმაციას რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა.

ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ნონა სხულუხია

(სარეგისტრაციო ნომერი -SARAS-A-956398)

„შპს ფინანსური სივრცე“-ს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-605291)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2024 წელი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „იბეროილი“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „იბეროილი“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ შპს „იბეროილი“-ს აუდიტორებად 2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დაგვირგობადით წლის ბოლოს და წლის დასაწყისში ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 3,675,272 (2022 წელი-2,543,474 ათასი ლარი). ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2023 წლის ბოლოს და 2023 წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე 2023 წლის 31 დეკემბრის არსებულ ნაშთებზე და 2023 წლის საწყის შესაბამის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ასევე არ ჩავგიტარებია სალაროს ინვენტარიზაცია და შესაბამისად ჩვენი მოსაზრება სალაროს ნაშთან დაკავშირებით მოდიფიცირებულია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძველად საქმიანობის უწყვეტობის

პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს იბეროილის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს იბეროილი მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოსაგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს იბეროილი კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა, სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა.

ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშს. ჩვენი დასკვნა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ცალკეულ ანგარიშს. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ აღწერილ სხვა ინფორმაციის გაცნობას მისი ხელმისაწვდომობასთანავე და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა, სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ. აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე, მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და

სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობითი ანგარიშგების გაცნობის და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ჩვენ გამოვთქვავთ აზრს იმასთან დაკავშირებით რომ, მმართველობითი ანგარიში არის შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს. მოიცავს ინფორმაციას რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა.

ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ნონა სხულუხია

(სარეგისტრაციო ნომერი -**SARAS-A-956398**)

„შპს ფინანსური სივრცე“-ს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი **SARAS-F-605291**)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2024 წელი

ნ. სხულუხია



მიმდინარე აქტივი	შენიშვნები	2023	2022
ფული და ფულის ექვივალენტი	8	1 676 176	864 887
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4 895 060	7 340 114
მარაგები	6	3 675 272	2 543 474
საგადასახადო აქტივი		474 515	-
სულ მიმდინარე აქტივები		10 721 022	10 748 475
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4 317 863	5 612 308
არამატერიალური აქტივები		1 428	1 428
ინვესტიციები		5 307 575	2 880 745
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 626 867	8 494 481
სულ აქტივები		20 347 889	19 242 957
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		7 932 973	8 837 307
სულ კაპიტალი		7 933 173	8 837 507
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3 474 610	3 751 200
მოკლევადიანი სესხები	10	235 404	4 655 715
საგადასახადო ვალდებულებები		-	364 229
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3 710 014	8 771 144
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	8,704,702	1,634,306
სულ ვალდებულებები		12,414,716	10,405,450
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20 347 888	19 242 957


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ბუღალტერი _____ სპარტაკი ნინიაშვილი

შპს "იბერილი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მიმდინარე აქტივი	შენიშვნები	2023	2022
ფული და ფულის ექვივალენტი	8	1 676 176	864 887
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4 895 060	7 340 114
მარაგები	6	3 675 272	2 543 474
საგადასახადო აქტივი		474 515	-
სულ მიმდინარე აქტივები		10 721 022	10 748 475
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4 317 863	5 612 308
არამატერიალური აქტივები		1 428	1 428
ინვესტიციები		5 307 575	2 880 745
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 626 867	8 494 481
სულ აქტივები		20 347 889	19 242 957
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		7 932 973	8 837 307
სულ კაპიტალი		7 933 173	8 837 507
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3 474 610	3 751 200
მოკლევადიანი სესხები	10	235 404	4 655 715
საგადასახადო ვალდებულებები		-	364 229
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3 710 014	8 771 144
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	8,704,702	1,634,306
სულ ვალდებულებები		12,414,716	10,405,450
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20 347 888	19 242 957

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ბუღალტერი  სპარტაკი წინიაშვილი



შპს “იბეროილი”
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	კორექტირებული	
		2023	2022
შემოსავალი	11	118 350 281	178 822 559
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(113 114 299)	(170 788 459)
საერთო მოგება		5 235 982	8 034 100
საოპერაციო შემოსავალი	13	215 808	410 050
მიწოდების ხარჯი	14	(254 383)	(123 271)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(1 849 262)	(3 809 577)
ცვეთა და ამორტიზაცია		(109 414)	(123 469)
სხვა ხარჯი		(135 342)	-
საოპერაციო მოგება		3 103 389	4 387 832
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		213 508	704,946
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(134 605)	(378 203)
კურსთაშორისი სხვაობა		(58 686)	1 695 984
ფინანსური ხარჯები	16	(784 339)	(780 242)
დებიტ. გაუფასურება		(3 243 602)	-
მოგება დაბეგვრამდე		(904 334)	5,630,317
მოგების ხარჯი			
წმიდა მოგება		(904 334)	5,630,317

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ბუღალტერი _____ სპარტაკი წინიაშვილი

შპს "იბეროილი"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	კორექტირებული	
		2023	2022
შემოსავალი	11	118 350 281	178 822 559
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(113 114 299)	(170 788 459)
საერთო მოგება		5 235 982	8 034 100
საოპერაციო შემოსავალი	13	215 808	410 050
მიწოდების ხარჯი	14	(254 383)	(123 271)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(1 849 262)	(3 809 577)
ცვეთა და ამორტიზაცია		(109 414)	(123 469)
სხვა ხარჯი		(135 342)	-
საოპერაციო მოგება		3 103 389	4 387 832
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		213 508	704,946
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(134 605)	(378 203)
კურსთაშორისი სხვაობა		(58 686)	1 695 984
ფინანსური ხარჯები	16	(784 339)	(780 242)
დებიტ. გაუფასურება		(3 243 602)	-
მოგება დაბეგვრამდე		(904 334)	5,630,317
მოგების ხარჯი			
წმიდა მოგება		(904 334)	5,630,317

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ბუღალტერი _____ სპარტაკი წინიაშვილი



შპს “იბეროილი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	200	3 206 989	3 207 189
მოგება წლის ბოლოს		5 630 317	5 630 317
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	200	8 837 306	8 837 506
მოგება წლის ბოლოს		(904 334)	(904 334)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	200	7 932 972	7 933 173

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:


ბუღალტერი _____ სპარტაკი ნინიაშვილი

შპს "იბერილი"
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	200	3 206 989	3 207 189
მოგება წლის ბოლოს		5 630 317	5 630 317
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	200	8 837 306	8 837 506
მოგება წლის ბოლოს		(904 334)	(904 334)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	200	7 932 972	7 933 173

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელების სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ბუღალტერი



სპარტაკი ნახაშვილი



დასახელება	2023	2022
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	140 389 610	210 319 296
თანხის დაბრუნება მომწოდებლისგან	1 151 106	4 528 486
მიღებული ფულადი სახსრები	141 540 716	214 847 782
თანხის დაბრუნება მყიდველთან	(1 270 548)	(471 918)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(90 532 205)	(94 624 419)
ანგარიშვალდებული პირისგან თანხის დაბრუნება/მიღება	(35 820)	(55 279)
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	(39)	(42 110)
თანხის გაცემა უცხოურ მომწოდებელზე	(28 728 179)	(79 147 192)
საბიუჯეტო გადასახადის დაბრუნება	1 103 016	1 519 130
ხელფასის გადახდა	(1 679 458)	(2 974 196)
საბიუჯეტო გადასახადი	(20 052 645)	(29 861 844)
გადახდილი ფულადი სახსრები	(141 195 878)	(205 657 829)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	344 838	9 189 953
მიღებული სესხები	36 880 313	52 490 200
სესხის გადახდა	(34 206 886)	(58 467 692)
ინვესტიცია შვილობილში	(1 748 830)	(2 561 445)
ინვესტიცია შვილობილში (თანხის დაბრუნება)	450 000	
საბანკო მომსახურების გადახდა	(15 115)	(18 814)
სესხის პროცენტის გადახდა	(784 339)	(808 315)
კურსთაშორის სხვაობა	(52 772)	(88 822)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	522 371	(9 454 889)
პირითადი საშუალებების შეძენა	(55 921)	(57 084)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(55 921)	(57 084)
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	811 289	(322 020)
ფული წლის დასაწყისში	864 887	1 186 907
ფული წლის ბოლოს	1 676 176	864 887

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს:

ბუღალტერი _____ სპარტაკი ნინიაშვილი

შპს "იბეროილი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

დასახელება	2023	2022
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	140 389 610	210 319 296
თანხის დაბრუნება მომწოდებლისგან	1 151 106	4 528 486
მიღებული ფულადი სახსრები	141 540 716	214 847 782
თანხის დაბრუნება მყიდველთან	(1 270 548)	(471 918)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(90 532 205)	(94 624 419)
ანგარიშვალდებული პირისგან თანხის დაბრუნება/მიღება	(35 820)	(55 279)
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	(39)	(42 110)
თანხის გაცემა უცხოურ მომწოდებელზე	(28 728 179)	(79 147 192)
საბიუჯეტო გადასახადის დაბრუნება	1 103 016	1 519 130
ხელფასის გადახდა	(1 679 458)	(2 974 196)
საბიუჯეტო გადასახადი	(20 052 645)	(29 861 844)
გადახდილი ფულადი სახსრები	(141 195 878)	(205 657 829)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	344 838	9 189 953
მიღებული სესხები	36 880 313	52 490 200
სესხის გადახდა	(34 206 886)	(58 467 692)
ინვესტიცია შვილობილში	(1 748 830)	(2 561 445)
ინვესტიცია შვილობილში (თანხის დაბრუნება)	450 000	
საბანკო მომსახურების გადახდა	(15 115)	(18 814)
სესხის პროცენტის გადახდა	(784 339)	(808 315)
კურსთაშორის სხვაობა	(52 772)	(88 822)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	522 371	(9 454 889)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(55 921)	(57 084)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(55 921)	(57 084)
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	811 289	(322 020)
ფული წლის დასაწყისში	864 887	1 186 907
ფული წლის ბოლოს	1 676 176	864 887

დამტკიცებულია გამოსაწვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს:

ბუღალტერი _____ სპარტაკი ნინოშვილი



1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს იბეროილი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2012 წლის 08 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ივენე იუმაშვილი N13-ე კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ნავთობპროდუქტების საბითუმო ვაჭრობა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2023
გოჩა ჩოკოშვილი	30%
სიმონი გეგელაშვილი	30%
ირაკლი პეტრიაშვილი	20%
დავით ალიბეგაშვილი	20%

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია კომპანიის მიერ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბსს“) მიერ, რომელიც ძალაშია 2023 საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის შეფასებისა.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე.

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ თორმეტი თვის განმავლობაში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი ან ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლობის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდგომიდან ნაწილდება:

შპს “იბეროილი“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ა) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და, თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(ბ) არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

არამატერიალური აქტივი	სასარგებლო პერიოდის ვადა
ლიცენციები	10 წელი
პროგრამები	10 წელი

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(გ) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

შპს “იბეროილი”
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია

შპს “იბეროილი“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(ვ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

(ზ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

(თ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(ი) მიღებული სესხები

მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

კომპანიას მიღებული სესხები აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად. დამატებითი დეტალები მიღებული სესხების შესახებ განხილულია მე-10 შენიშვნაში.

შპს “იბეროილი”
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) იჯარები

კომპანია აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულება, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას, ანუ, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

კომპანიის როგორც მოიჯარე

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.

საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღით, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებას რომლებიც იზომება საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებაში, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს და თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადახდები აგრეთვე მოიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად საწრმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის გამოყენების უფლების გამოყენებას. იჯარის გადახდების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების პერიოდისთვის, რადგან იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეუძლებელია. როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

შპს “იბეროილი“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) იჯარები (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივი

კომპანია იყენებს მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით აღიარებიდან განთავისუფლებას იმ საიჯარო ხელშეკრულების მიმართ რომელთა ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას. კომპანიას მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენობა-ნაგებობების იჯარისთვის. იგი ასევე იყენებს იჯარის აღიარების განთავისუფლებას იმ იჯარების მიმართ, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს, რომელთა და მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენობების იჯარისთვის.

(ლ) კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ზღვრული ხარჯების აღიარება ხდება საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

(მ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ნ) ხარჯის აღიარება

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(ო) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულ პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

(პ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(ჟ) დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

(რ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა: ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილებება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შესაბამემა, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილ უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებიდან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, რომლებიც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ს) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(ტ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

შპს “იბეროილი”
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
1 USD/GEL	2,6894	2,7020
1 EUR/GEL	2.9753	2,8844

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული

შპს “იბეროილი“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	კავშირგაბმულობის საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	1 657 186	1 046 723	1 872 414	131 994	11 521	62 564	347 522	300 741	5 430 665
შეძენა	604 305	14 915		1 229		39 388		9 052	668 889
გასვლა/გაყიდვა									
2022 წლის 31 დეკემბერი	2 261 491	1 061 638	1 872 414	133 223	11 521	101 952	347 522	309 793	6 099 554
შეძენა		7 881	68 143			4 466			80 490
გასვლა/გაყიდვა	(1 128 000)	(14 915)					(122 605)		(1 265 521)
2023 წლის 31 დეკემბერი	1 133 491	1 054 604	1 940 557	133 223	11 521	106 418	224 917	309 793	4 914 524
2021 წლის 31 დეკემბერი		(50 779)	(67 202)	(32 939)	(6 864)	(26 582)	(123 410)	(56 002)	(363 778)
ცვეთა		(20 934)	(28 086)	(10 449)	(1 734)	(13 563)	(30 752)	(17 950)	(123 469)
2022 წლის 31 დეკემბერი		(71 713)	(95 288)	(43 388)	(8 598)	(40 145)	(154 162)	(73 952)	(487 246)
ცვეთა 2023		(20 948)	(28 342)	(10 319)	(1 733)	(22 075)	(16 163)	(9 844)	(109 414)
2023 წლის 31 დეკემბერი		(92 673)	(123 630)	(53 707)	(10 331)	(62 220)	(170 325)	(83 796)	(596 682)
ნეტო საბალანსო ღირებულება		(185 346)	(247 260)	(107 414)	(20 662)	(124 439)	(340 649)	(167 592)	(1 193 363)
2021 წლის 31 დეკემბერი	1 657 186	995 945	1 805 212	99 056	4 657	35 982	224 112	244 739	5 066 889
2022 წლის 31 დეკემბერი	2 261 491	989 925	1 777 126	89 835	2 923	61 807	193 360	235 840	5 612 308
2023 წლის 31 დეკემბერი	1 133 491	961 918	1 816 927	79 516	1 190	44 198	54 592	225 997	4 317 863

შპს “იბეროილი”

ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარში)

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 მდგომარეობით შემდეგია:

	2023	2022
საქონელი	3 664 718	2 514 587
ნედლეული და მასალები	-	17 541
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	10 553	11 347
სულ	3 675 272	2 543 474

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7 409 560	6 570 135
გაუფასურების რეზერვი	-	-
სულ მოთხოვნები	4 165 958	6 570 135
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	716 000	716 000
გადახდილი ავანსები	10 835	51 712
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	2 267	2 267
სულ	4 895 060	7 340 114

სავაჭრო მოთხოვნები არის უპროცენტო ფინანსური აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. ახალი მომხმარებლისთვის საკრედიტო ლიმიტის შეთავაზებისას კომპანია განიხილავს მომხმარებლის საგადახდელო შესაძლებლობას.

	31.12.2023		
	სავაჭრო მოთხოვნები	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე			
0-60 დღით ვადაგადაცილებული	4 132 614	-	-
61-90 დღით ვადაგადაცილებული	-	10%	-
91-180 დღით ვადაგადაცილებული	66 689	50%	33 345
360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	3 210 257	100%	3 210 257
სულ ფინანსური მოთხოვნები	7 409 560		3 243 602
გაუფასურების რეზერვი	(3 243 602)		
წმინდა მოთხოვნები	4 165 958		

1-დან 365 დღემდე ვადაგადაცილებული მოთხოვნების გაუფასურების მოცულობა გაიანგარიშება წარსული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც გადაიხედება რეგულარულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. თუმცა კომპანია მიმდინარე პერიოდამდე არ ახდენდა ვადაგადაცილებული დებიტორების გაუფასურებას და რეზერვის შექმნას.

	2023
ბალანსი წლის დასაწყისში	-
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(3 243 602)
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3 243 602)

შპს “იბეროილი”

ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარში)

ხელმძღვანელობა მიაჩნია რომ შექმნილი რეზერვები საკმარისია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ასახვისათვის. გაუფასურების ხარჯი წარმოდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	206 840	67 217
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	720 177	760 388
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	749 159	37 281
სულ	1 676 176	864 887

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2023	2022
მოწოდებიდან და მომს. წარმ. ვალდებულებები	1 164 100	1 427 142
მიღებული ავანსები	24 520	24 520
გადასახდელი ხელფასები	-	694 088
ფაქტორინგი	2 285 990	1 605 450
სულ	3 474 610	3 751 200

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

10. ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2023	2022
გრძელვადიანი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	8 704 702	5 160 458
სულ გრძელვადიანი სესხები	8 704 702	5 160 458
მოკლევადიანი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	235 404	1 129 563
სულ მიმდინარე სესხები	235 404	1 129 563
სულ სესხები	8 940 105	6 290 021

შპს “იბეროილი”

ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარში)

	საპროცენტო განაკვეთი	კადა	2023	2022
თიბისი USD	10.17%	2024	235 404	1 129 563
თიბისი USD	9.3%	2024	5 380 248	-
თიბისი USD		2023	-	3 436 651
თიბისი USD	9.88%	2024	1 882 580	-
თიბისი EUR	7.4%	2027	1 441 874	1 723 807
სულ			8 940 105	6 290 021

11. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან ბენზინი	65 393 374	83 653 131
შემოსავალი რეალიზაციიდან დიზელი	52 691 694	94 908 452
შემოსავალი რეალიზაციიდან ნულოვანი	265 214	260 975
	118 350 281	178 822 559

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება (ბენზინი)	62 744 005	80 468 720
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება (დიზელი)	50 370 294	90 258 925
სხვა		60 814
	113 114 299	170 788 459

13. საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
საოპერაციო შემოსავალი-ტრანსპორტირება	140 212	410 050
საოპერაციო შემოსავალი - იჯარა	75 596	-
	215 808	410 050

14. მიწოდების ხარჯები

კომპანიის მიწოდების ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	133 363	123 271
საშუამავლო ხარჯი	58 668	
საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი	62 351	
	254 383	123 271

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	1 306 833	1 236 088
დანამატი	194 389	1 955 920
საპენსიო დანარიცხები	42 245	73 444
მივლინების ხარჯი	25 316	113
სხვა საერთო ხარჯები	31 683	286
კომუნიკაციის ხარჯები	8 406	25
კომუნალურები	30 165	181
დაზღვევა	43 104	30 315
რემონტის ხარჯები ა/მ	38 849	70 545
რემონტის ხარჯები ბაზა-ოფისი	45 807	50 175
ბანკის ხარჯი	15 119	18 141
შრომის უსაფრთხოების ხარჯი	22 226	
საკონსულტაციო ხარჯი	12 810	
ქონების გადასახადის ხარჯი	32 309	37 351
საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი		180 963
სანოტარო მომსახურების და თარგმნის და ხარჯები		18 169
	1 849 262	3 809 577

შპს “იბეროილი”

ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარში)

16. ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	784 339	780 242
	784 339	780 242

17. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია :

- საპროცენტო რისკი
- საკრედიტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიას ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიას ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4 165 958	6 570 135
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 676 176	864 887
სულ ფინანსური აქტივები	5 842 134	7 435 022

	2023	2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 164 100	1 427 142
სესხები	8 940 105	6 290 021
სულ ფინანსური ვალდებულებები	10 104 206	7 717 163

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევე ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიას ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 4%-დან 12%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის რეალური ღირებულება შეფასებულია მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგებისმაქსიმიზაცია,

მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიას ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში,

კომპანიას ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიას ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიას რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიას ფინანსური მხარისთვის. კომპანიას ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიას ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიას ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს “იბეროლი”

ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარში)

	2023		2022	
	ევრო	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	749 159	37 209	73
სულ ფინანსური აქტივები	-	749 159	37 209	73
	2023		2022	
	ევრო	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	542 510		820 315
სესხები	1 441 874	7 498 232	1 723 807	4 566 214
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 441 874	8 040 742	1 723 807	5 386 529
წმიდა სავალუტო პოზიცია	(1 441 874)	(7 291 583)	(1 686 598)	(5 386 456)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ევრო	აშშ	ევრო	აშშ
	ევრო/ლარი 20%	დოლარი/ლარი 20%	ევრო/ლარი -20%	დოლარი/ლარი -20%
მოგება/ზარალი	(288 375)	(1 458 317)	288 375	1 458 317

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმკვლეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2023, და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4 165 958	6 570 135
ფული და ფულის ექვივალენტები (ნაღდი ფული)	206 840	67 217
	206 840	67 217

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას დაკავშირებულ მხარესთან აქვს მოთხოვნა 716 000 ლარის ოდენობით.

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2023 და 2022 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში. 2023 წელი-1 394 274 ლარი, 2022 წელი -3 021 422 ლარი.

19. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

შპს “იბეროილი”

ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარში)

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2023 წლის დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

20 . საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს , რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

2023 წლის მმართველობითი ანგარიშგება

შპს „იბეროილი“

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ.....	2
კომპანიის სტრუქტურა.....	2
ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა	3
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	5
განვითარების გეგმები	6
ინფორმაცია საკუთარი წილების შეძენის შესახებ	6
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	7
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

შპს „იბეროილი“

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება - შპს „იბეროილი“

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი - ს/კ 406079586

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ.თბილისი, ივანე იუმაშევის 13ე.

სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი- 08/11/2012

საკონტაქტო ტელეფონი- +995 577 54 07 07

ელ.ფოსტა- info@iberoil.ge;

დირექტორი - მიხეილ ნიკოლეიშვილი.

საქმიანობის სფერო (“ეკონომიკური საქმიანობის სახეების”- სეკ-ის მიხედვით)- საბითუმო ვაჭრობა საავტომობილო ბენზინით; საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით. “იბეროილი” წარმოადგენს ქართული კაპიტალით შექმნილ კომპანიას რომლის დამფუძნებლებიც არიან:

გოჩა ჩოკოშვილი პ/წ 01013006513 - 30%

სიმონი გეგელაშვილი პ/წ 01032000071 - 30%

ირაკლი პეტრიაშვილი - პ/წ 01008016572 - 20%

დავით ალიბეგაშვილი - 01011034473 - 20%

იბეროილი დაფუძნდა 2012 წლის ნოემბერში, რის შემდეგაც დაიწყო ინტენსიური ზრდა როგორც ბაზრის ათვისების ასევე ორგანიზაციული კუთხით.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის მმართველი ანგარიშგების მომზადების მომენტისთვის იყო დირექტორი მიხეილ ნიკოლეიშვილი. კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებს წარმოადგენენ კომპანიის დამფუძნებლებიც.

შპს „იბეროილი“

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

შპს „იბეროილი“-ს ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა საწვავით, რაც მოიცავს საწვავის იმპორტს, დასაწყობებას და შემდგომ მის რეალიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზაციის დამატებითი საქმიანობას წარმოადგენს საწვავის გადაზიდვა საქართველოს ყველა რეგიონში, რაც ხორციელდება ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებებით.

შპს „იბეროილი“-ს შემოსავლები ძირითადი საქმიანობების მიხედვით არის შემდეგი (ლარი):

	2023	2022
შემოსავალი რეალიზიციიდან	118,085,067	176,854,041
შემოსავალი რეალიზიციიდან ნულოვანი	265,214	260,975
შემოსავალი რეალიზიციიდან - საბაჟო ტერმინალი	-	1,707,543
სხვა საოპერაციო შემოსავლები	215,808	410,050
	118,566,089	179,232,609

რეალიზებული საწვავის მოცულობა პროდუქციის სახეების მიხედვით (ლიტრი):

პროდუქციის დასახელება	2023	2022
დიზელი	23,501,836	30,759,460
ბენზინი (რეგულარი)	32,582,053	33,184,057
ბენზინი (პრემიუმი)	2,068,582	2,701,271
	58,152,471	66,644,788

კლიენტების და მომწოდებლების ქსელი

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული არარეზიდენტი კომპანიებს წარმოადგენენ. მათთან მოწოდების პირობები და შესასყიდი ფასი განისაზღვრება საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო საბაზრო ფასის შესაბამისად. „იბეროილი“ საწვავის შესყიდვისას პერიოდულად თანამშრომლობს ადგილობრივ კომპანიებთანაც. კლიენტების საშუალო რაოდენობა 2022 – 2023 წლებში მთელი საქართველოს მასშტაბით მერყეობს 270-300 ერთეულის ფარგლებში.

შპს „იბეროილი“

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანამშრომლები და საკადრო პოლიტიკა

დასახელება	2023	2022	2021
1	2	2	3
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა წლების მიხედვით	34	34	32

კომპანია პერიოდულად ზრუნავს საკუთარი კადრების გადამზადებასა და პროფესიულ წინსვლაზე. საკადრო პოლიტიკა კი ორიენტირებულია პერსონალის კმაყოფილებასა და სამუშაო პირობების შესაბამისად უზრუნველყოფაზე. განსაზღვრულია წახალისების როგორც ფინანსური ასევე არაფინანსური ეფექტური მექანიზმები. შესაბამისად კადრების დენადობა კომპანიაში მინიმუმადეა დაყვანილი, დასაქმებულების უმეტესი ნაწილი კომპანიაში მუშაობს გახსნის დღიდან.

„იბეროილი“-თვის პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოება და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობა ქვეყნის კანონმდებლობასთან, რისთვისაც კომპანიას დაქირავებული ყავს სერტიფიცირებული უსაფრთხოების მენეჯერები.

შპს „იბეროილი“

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყარო არის საწვავის რეალიზაცია. სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 და 2022 წლის წლის 31 დეკემბერს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი	118,350,281	178,822,559
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(113,114,299)	(170,788,459)
საერთო მოგება	5,235,982	8,034,100
საოპერაციო შემოსავალი	215,808	410,050
მიწოდების ხარჯი	(254,383)	(123,271)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,849,262)	(3,809,577)
ცვეთა და ამორტიზაცია	(109,414)	(123,469)
სხვა ხარჯი	(135,342)	-
საოპერაციო მოგება	3,103,389	4,387,832
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	213,508	704,946
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(134,605)	(378,203)
კურსთაშორისი სხვაობა	(58,686)	1,695,984
ფინანსური ხარჯები	(784,339)	(780,242)
დებიტ.გაუფასურება	(3,243,602)	-
მოგება დაბეგვრამდე	(904,334)	5,630,317
მოგების ხარჯი		
წმიდა მოგება	(904,334)	5,630,317

შპს „იბეროილი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

როგორც ცხრილიდან ჩანს კომპანიის 2023 წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, 2022 წელთან შედარებით აღინიშნება მოგების ზრდა.

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)	2023	2022
	2,62%	2,45%

EBITDA (წმინდა მოგება+საპროცენტო ხარჯი+ცვეთა)/საოპერაციო შემოსავალი	2023	2022
	1,52%	2,23%
უკუგება აქტივებზე (ROA) (წმინდა მოგება/სულ აქტივებზე)		
	-4,44%	26%

განვითარების გეგმები

2023 წელს კომპანიამ დაასრულა საინვესტიციო პროექტი სხვა კომპანიაში. 2024 წელს კომპანიას ექნება შესაძლებლობა კიდევ უფრო გაზარდოს შემოსავლები. ასევე კომპანიამ შეიძინა ავტოგასამართი სადგური საგარეჯოში და მიწის ნაკვეთები თელავსა და თბილისში სადაც აპირებს ინვესტიციების განხორციელებას მოგების გასაზრდელად.

ინფორმაცია საკუთარი წილების შეძენის შესახებ

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები - ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, ნავთობკომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის ნავთობკომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ნავთობკომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. ნავთობკომპანია შეძლებისდაგვარად ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

მიხეილ ნიკოლეიშვილი _____

შპს „იბეროილი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

მიხეილ ნიკოლეიშვილი

